ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1

2020 წლის 30 იანვარი
ქალაქი ახალციხე

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1.
შევიდეს შემდეგი ცვლილება ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №21 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge; 26/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.138.016393):

1. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, **მუხლი 1.**
დამტკიცდეს ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებული სტუდენტებს" (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრის გაცემის წესი" დანართი 1-ის შესაბამისად."
2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრების გაცემის წესი".
3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და ფულადი საჩუქრების გაცემის წესი" (შემდგომში-წესი) განსაზღვრავს, ახალციხის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებულ სტუდენტებზე ფულადი საჩუქრის გაცემის პირობებსა და წესს.".

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გელა ნოზაძე**